

## ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 1

### აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთება

ზურაბ ბატიაშვილი

2020 წლის 10 ივლისს თურქეთში მიიღეს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც, 1500-წლიანი ისტორიის მქონე აია-სოფიას მოეხსნა მუზეუმის სტატუსი და 24 ივლისიდან მეჩეთი იქნება. მართალია, ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდა საერთაშორისო თანამეგობრობა, მაგრამ ოფიციალური ანკარა არ აპირებს საკუთარი გეგმების შეცვლას და აპელირებს იმაზე, რომ სტატუსის განსაზღვრა მისი სუვერენული უფლებაა.

რამდენადაც აია-სოფიას მრავალნაირი სიმბოლური დატვირთვა აქვს, მისი სტატუსი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ბევრისთვის აია-სოფია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა. ზოგი მას თურქეთის სეკულარული წყობის სიმბოლოდ აღიქვამს. ზოგისთვის კი იგი ოსმალეთის ბიზანტიაზე (ანდაც, უფრო მეტი, - ისლამის ქრისტიანობაზე) გამარჯვების სიმბოლოა.

აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხში მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკური კონტექსტი.

აია-სოფიასთვის მეჩეთის სტატუსის დაბრუნება ყოველთვის იდგა თურქეთის კონსერვატიული ძალების დღის წესრიგში, თითქმის 1935 წლიდან, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლისა და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იგი მუზეუმად იქცა.

1991 წლიდან მის ერთ ნაწილში გაიხსნა სამლოცველო ადგილი მუსლიმი მომლოცველებისთვის. თუმცა სრულად მისი მეჩეთად გადაკეთება მხოლოდ 2020 წელს მოხერხდა.

# Time line of hagia sophia



## აია-სოფიას სტატუსი წლების მიხედვით

აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთებით ანკარა საერთაშორისო არენას უგზავნის მკაფიო მესიჯს, რომ იგი, უწინდელთან შედარებით, არის კიდევ უფრო დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური აქტორი და მას შეუძლია არ გაითვალისწინოს საერთაშორისო თანამეგობრობის (მათ შორის, აშშ-ის, რუსეთის, საბერძნეთის და ევროკავშირის) აზრი.

ამასთან, ანკარამ ამ ნაბიჯით მოიპოვა დამატებითი ავტორიტეტი სუნიტურ სამყაროს იმ ნაწილში, სადაც თურქეთსა და მის ლიდერ რეჟეფ თაიფ ერდოღანს ლიდერად აღიქვამენ.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთებით თურქეთში შემცირდება ტურისტების რაოდენობა და ამით მიღებული შემოსავალი.<sup>1</sup> თურქეთის ხელისუფლება, ტურიზმის წახალისების მიზნით, უფასოს ხდის აია-სოფიას მონახულებას - ამისთვის იგეგმება სპეციალური ტურისტული ბილიკის მოწყობა ტაძრის შენობაში. ამასთან, მუსლიმური ღვთისმსახურების წესების გათვალისწინებით, ლოცვის დროს ფრესკები

<sup>1</sup> ბილეთის მაღალი ფასის (100 თურქული ლირა, რაც დაახლოებით 14,6 აშშ დოლარია) მიუხედავად, თურქეთში 2019 წელს აია-სოფია რჩებოდა ყველაზე პოპულარულ ადგილად უცხოელი ტურისტებისთვის. იგი გასულ წელს 3,7 მილიონმა დამთვალიერებელმა მონახულა.

დაიფარება სპეციალური განათებით ან ჩამოეფარება ფარდები (როგორც ეს მოხდა ტრაპიზონის აია-სოფიას შემთხვევაში, რომელიც 2013 წელს ასევე მეჩეთად გადააკეთეს).



*აია-სოფიას დამთავალიერებელთა რაოდენობა წლების მიხედვით*

საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისს პოზიცია არ დაუფიქსირებია. სამაგიეროდ, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა საპატრიარქომ 9 ივლისს გაკეთებულ განცხადებაში, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მოზომილი იყო. კერძოდ, საპატრიარქომ გამოთქვა იმედი, რომ აია-სოფია შეინარჩუნებდა ნეიტრალურ (მუზეუმის) სტატუსს და დასძინა: „პატივს ვცემთ რა თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ვიმედოვნებთ, რომ ეს დამოკიდებულება მეგობარი სახელმწიფოს მიერ აღქმული იქნება არა როგორც მის შიდა საქმეებში ჩარევა, არამედ ჩვენი, როგორც ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მოსაზრება და გულისტკივილის გამოხატულება. იმედი გვაქვს, თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული კეთილმეზობლური, მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობები კვლავაც გაღრმავდება, რაც ფრიად სასიკეთო იქნება ორივე ქვეყნისათვის“.

ცხადია, რომ ამ განცხადებას გავლენა არ მოუხდენია აია-სოფიას სტატუსის განსაზღვრისას. თუმცა ისიც ნათელია, რომ აია-სოფია კიდევ დიდხანს იქნება სიმბოლური დატვირთვის მქონე და, შესაბამისად, ვნებათაღელვა მის გარშემო მომავალშიც იარსებებს.